ШЗ/11-026

ხელშეკრულება №82

ქ. თბილისი 18.05.2011 წ.

ერთის მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელის, ავთანდილ დემეტრაშვილის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს რკინიგზა“ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის თეიმურაზ ბულიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სამგზავრო დოკუმენტების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტია მატარებლის სამგზავრო დოკუმენტები (ბილეთები) შემდეგი მიმართულებით:

21.06.11წ. – 38 მგზავრის გადასაყვანად №622 მატარებლის მოდერნიზებული II კლასის სავარძლიანი ვაგონით თბილისიდან მახინჯაურამდე;

23.06.11წ. – 38 მგზავრის გადასაყვანად №621 მატარებლის მოდერნიზებული II კლასის სავარძლიანი ვაგონით მახინჯაურიდან თბილისამდე.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასია 15 ლარი (14 ლარი (ტარიფი)+ 1 ლარი (ადგილის რეზერვირება)).

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1140 (ერთი ათას ასორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.3. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ლარებში.

2.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ღირებულების 100 %-ის წინასწარი გადახდის სახით მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

2.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის (სამგზავრო დოკუმენტების) მიწოდება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, თბილისის მგზავრთა სერვის ცენტრი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

4.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება, ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი, სამოქალაქო დაპირისპირება და სხვა).

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლება-მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება, ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი-შემსყიდველთან, ორი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მიმწოდებელი:

შპს „საქართველოს რკინიგზა“,

მის: თბილისი თამარ მეფის გამზ. №5

სს „ვითიბი“ ბანკი ჯორჯია დიდუბის ფილიალი

ბ/კ 220101665

ა/ა GE 35VT6500000005883407

ს/კ 202886010

/თეიმურაზ ბულია/

შემსყიდველი:

სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“-ს ხელმძღვანელი

ალექტრა შვილი

სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო კოდი 0516

საინდ/კოდი 204578242

ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26